საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ფიზკულტურის ქ.№24-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა“.

მოქალაქეების ზაზა ანთელავასა და პაატა მჭედლიძის თხოვნით ჩვენს მიერ 2014 წლის ნოემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ფიზკულტურის ქ.№24-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ფიზკულტურის ქ.№24-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს „გეოგემა“-ს გეოლოგიურმა ჯგუფმა 2014 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი მამუკა ბაბილოძე. მათ მიერ არის აგრეთვე შესრულებული თიხების თვისებათა ლაბორატორიული გამოკვლევები.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ.
3. მიწერილობა ---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ
5. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც
6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ---------- 1ფურც
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები---------- 2ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 15 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასით, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. შენობის ზომებია გეგმაში 40x30მ. საძირკველის კონსტრუქცია და ჩაღრმავება დადგინდება საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეოლოგია და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით, გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, მათი ჯამური სიგრძე შეადგენს 14.7 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების გამოსაკვლევად. აღსანიშნავია, რომ კლდოვანი ქანების თვისებების დასადგენად ნიმუშები არ აღებულა, ვინაიდან გამოყენებული იქნა საკვლევი მოედნის ახლოს მათ მიერ ადრე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები, რომლის დროსაც გამოკვლეული იქნა კლდოვანი ქანები.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი
2. ფენა 2 – კენჭნარი
3. ფენა 3 – ძლიერ გამოფიტული სუბარგილითები და ქვიშაქვები
4. ფენა 4 – სუსტად გამოფიტული სუბარგილითები და ქვიშაქვები

ანგარიშში მოცემულია ფენა-3-ისა და ფენა-4ის საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება (ვინაიდან ფენა-1 და ფენა-2 შენობის ფუძე-გრუნტებად არ გამოდგება) მოცემულია მათი საანგარიშო და დეფორმაციული მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ფიზკულტურის ქ. №24-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

380113 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 16. ტელ: 337808, 3701418, 389640, 371180. ფაქს: 385627. ელ.ფოსტა info@Expertiza.ge

№ ________ "____" ____________2011წ

ც ნ ო ბ ა

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუგა ჭოხონელიძე 1995 წლიდან ირიცხება მშენებლობის პროექტირების ექსპერტიზის სამმართველოს დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მან ჩაუტარა ექსპერტიზა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტს საინჟინრო გეოლოგიის ნაწილში.

ცნობა ეძლევა ქ.თბილისის არქიტექტურულ დეპარტამენტში წარსადგენად.

დირექტორის პირველი

მოადგილე ლ. მეძმარიაშვილი

ООО»Экспертиза Проектирования и Строительства»

380113 Тбилиси, пр.Важа Пшавела 16.

тел.: 337808, 3711118, факс (995 32) 386527

LTD «Examinetion Construction Designs»

380113 Tbilisi, Vadgha-Pshavela Av.16

Phone: 337808, 3711118, fax: (995 32) 386527

CV - ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიები „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებზე გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 12)

Чохонелидзе Гуго Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

დიპლომი

წარჩინებით

№ 737129

ამის წარმომდგენი ამხ. [illegible]

ბათუმის [illegible]

19[illegible] წ. შემოდა და 1950 წ. [illegible] სრული [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

სპეციალობით და სახელმწიფო

საგამოცდო კომისიის 1950 წ. [illegible]

გადაწყვეტილებით მას მიენიჭა [illegible]

[illegible]

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [illegible]

[illegible]

ქ. ბათუმი 1950 წ.

რეგისტრაციის № 6133

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

№ 737129

Предъявитель сего тов. [illegible]

в 19[illegible] г. поступил, а в 19[illegible] г. окончил

полный курс [illegible]

[illegible]

по специальности [illegible]

[illegible]

и решением

Государственной Экзаменационной Комиссии

[illegible] 1950 г. ему присвоена

квалификация [illegible]

Председатель Государственной Экзаменационной Комиссии [illegible]

Директор [illegible]

Секретарь [illegible]

Город [illegible] 1950 г.

Регистрационный № 6133

Т18518 Тип. Госзнака. Заказ № 4001. Москва, Гознак, 1041.